# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 22 აგვისტო 2003 №157 (1928) — ფასი 50 თეთრი




## ჯარისკაცი ჯამარაული ნაწილში საკუთარი აზრით ბრუნდება: ქართულ რაზმს უცხოელი გენერალი სჭირდება

ინტერვიუ გოჩა ჯამარაულთან იხილეთ მეორე გვერდზე

## ცხენის ისტორია
### ლაგამაწყვეტილი ულაყები ბოლოს თავლაში ბრუნდებიან



## მაკელელეს ტუმბალელა დამთავრდა: გუშინ ისევ რეალში ივარჯიშა



## წლევანდელი ღვინობისთვე რაგბისთვეა

სარაგბო კალენდარი მსოფლიოსთვის მეხუთე, ქართველებისთვის კი პირველი თასისკენ მიცოცავს. თასი ოქტომბერში იწყება, ავსტრალიამდე თვენახევარიღა რჩება და, სწორედაც რომ მზადების დაწყების დროა. ბორჯღალოსნებს კანადაში შეკრება ჩაეშალათ, ამიტომაც საწვრთნელი ბანაკი ისევ საფრანგეთში დასცეს და იქაურ კლუბებს სპარინგ-მატჩებზეც შეუთანხმდნენ. სპარინგი სპარინგია და, ბორჯღალოსნებმა იოლად გადაიტანეს ერთ საშუალო გაქანების მეტოქესთან გუშინდელი 10:20 მარცხი, მით უმეტეს, კლოდ სორელმა ძირითადად გამოუცდელი ბიჭები გამოსცადა. აი, შაბათს კი ნამდვილი ბრძოლაა, ქართველთა ნაკრები სრული საბრძოლო 15 ერთეულით შეასკდება საფრანგეთის ექსჩემპიონ „ბიარიცს". შევახსენებთ, რომ ეს ის გუნდია, რომელშიც ქართული წარმოშობის დიმიტრი იაშვილი ყოჩობს. იაშვილი გენეტიკური სამშობლოს ნაკრებს და იქ მოთამაშე უფროს ძმას გრეგუარს ამ ჯერზე არ დაუპირისპირდება, რაკი საფრანგეთის ნაკრებშია გამოძახებული



# გოჩა ჯამარაული: ჯარისკაცი ვარ, დამიძახეთ და ვითამაშებ



გოჩა ჯამარაულმა ნაკრები
ირლანდიასთან თბილისური მატჩის მერე დატოვა

*გოჩა ჯამარაული — ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი. ფეხბურთელი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისი თაობის ფეხბურთელთა მსგავსად, ვერც მან დაიჭექა საფეხბურთო სამყაროში.*

*29 მარტი. საქართველო — ირლანდია 1:2. ამ მატჩის მერე ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენს ნაკრებს მწვრთნელი სჭირდება.*

*ამ მატჩის მერე საფეხბურთო საქართველოში დიდი რია-რია ატყდა, ხელს მწვრთნელისკენ იშვერდნენ, ბევრიც ნაკრების გამოცდილ ფეხბურთელებს ურჩევდა ეროვნული გუნდის დატოვებას.*

*მატჩის შემდეგ სამი-ოთხი დღე ემოციისა იყო, ბევრი ჭორ-მართალი გავიგეთ, ერთი კი ნაღდი იყო: გოჩა ჯამარაულმა სანაკრებო კარიერა დაასრულა...*

*... დაასრულა, მაგრამ 6 სექტემბერს ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით ეროვნულ გუნდს უბრუნდება.*

— ნაკრებიდან რატომ წავედი და, გზა ახალგაზრდებს დავუთმე, ვიფიქრე, რომ ეროვნული გუნდისთვის უკვე გამოუსადეგარი ვიყავი — გვითხრა გუშინ გოჩა ჯამარაულმა, როცა დონეცკში დავუკავშირდით — აქეთ ბურდული, იქით ასათიანი, გუნდში ჩემს ადგილს ვეღარ ვხედავდი. მაგრძნობინეს, რომ უნდა წავსულიყავი.

**— ვინ გაგრძნობინა?**

— ქომაგებმა და ჟურნალისტებმა. საერთოდ, ირლანდიამდეც დიდი ხანი იყო ლაპარაკი, ჯამარაული და მისი თაობა ნაკრებს უნდა მოშორდნენ. ეს მაშინ დაიწყო, როცა ჩვენ ჯერ კიდევ 26-27 წლისანი ვიყავით. ერთხელ ითქვა ამგვარი, მეორედ, მესამედ კი წავედი...

**— წახვედი, მაგრამ ბრუნდები...**

— ვბრუნდები, რადგან საქართველოს ნაკრები რთულ მდგომარეობაშია. მე ქართველი ვარ, საქართველოს ჯარისკაცი და თუ დამიძახებენ, ქვეყანას უნდა ვემსახურო.

**— მაშ, რატომ გაექეცი ქვეყნის სამსახურს შვეიცარიასთან, რუსეთთან და ირლანდიასთან მატჩებამდე?**

— ირლანდიის მერე შვეიცარია ოთხ დღეში იყო. ჩემზე ისეთი გავლენა მოახდინა საქართველო — ირლანდიის გამოძახილმა, სხვანაირად არც შემეძლო. ჯამარაული ჯამარაული არ იყო. რუსეთთან და დუბლინში ირლანდიასთან კი არავის დავჭირვებივარ, არ გამომიძახეს და როგორ ჩამოვიდოდი.

**— ახლა ემოცია ჩაცხრა. საქართველო — ირლანდიის მატჩიდან ექვსი თვე გავიდა. რატომ წააგო ის თამაში ჩვენმა ნაკრებმა?**

— ჩვენი ნაკრების მაშინდელ შემადგენლობას, დაცვის ხაზს გადახედეთ. გამოუცდელთა ორი შეცდომა და ორი გოლი. ისეთი ორგანიზებული გუნდი, როგორიც ირლანდიაა, შეცდომებს არ პატიობს.

**— ირლანდიამდე შვეიცარიასთანაც იგივე იყო. ნაკრების საშველი რა არის?**

— უცხოელი მწვრთნელი. საქართველოს ნაკრებს მაღალი კლასის უცხოელი მწვრთნელი აათამაშებს. უკრაინა — რუმინეთის გუშინდელი ამხანაგური მატჩიც გამოდგება ამის სამაგალითოდ. დარწმუნებული ვარ, იორდანესკუ რომ უკრაინელების მწვრთნელი ყოფილიყო, ბურიაკი კი რუმინეთისა, მასპინძლები მოიგებდნენ. რუმინეთს ისეთი ოსტატები არ ჰყავს, როგორიც უკრაინას, მაგრამ მწვრთნელმა გუნდი ისე მომართა, სათამაშოდ ისე გააწყო, რომ მოაგებინა. რუმინელებმა ბავშვებივით ათამაშეს უკრაინელები.

**— ერთსაც გკითხავ: ალბანელებთან რომ საქართველოს ისეთივე დღე დაადგეს, როგორიც ირლანდიასთან, მაშინ რას იტყვი?**

— რა უნდა ვთქვა. სათქმელი ახლა ვთქვი: მე საქართველოს ჯარისკაცი ვარ და როცა ეროვნულ გუნდს დავჭირდები, სამსახურისთვის მზად ვარ.

**ძობა ინასარიძე**

# მუჯირის პრეზიდენტმა მუშები დააჯარიმა

*გრაცის „შტურმი" ავსტრიული მაქსბუნდესლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია. ჩვენებური დავით მუჯირის გუნდს ხუთი ტურის შემდეგ მხოლოდ კინკილა ქულა აქვს. ვითარება მართლაც არასახარბიელოა. „შტურმმა" ბოლო ტურის მატჩიც დათმო „პაშინგთან" 1:2. ყოველივემ კლუბის პრეზიდენტი ჰანს კარტნიგი ისე გააცეცხლა, რომ ფეხბურთელებს მისდგა, მე გასწავლით ჭკუასო და თითოეულს 720 ევროს გადახდა დააკისრა ჯარიმის სახით.*

*ბუნებრივია, ვიფიქრეთ, დასჯილთა შორის ჩვენებურიც ხომ არ ურევიაო. გუშინ დავით მუჯირს გრაცში შევეხმიანეთ...*



დავით მუჯირი

**— „პაშინგთან" მარცხს კლუბის პრეზიდენტი კარტნიგი ძალიან აღუშფოთებია...**

— ეგრეა, გაგიჟდა კაცი.

**— და ფეხბურთელებიც დააჯარიმა. თითოეული 720 ევროს გადაიხდის, ეგებ, ჭკუა ისწავლონო, უთქვამს...**

— საბედნიეროდ, დასჯილთა შორის მე არ ვარ. თანხის გადახდა მხოლოდ იმათ დაეკისრათ, ვინც იმ დღეს მოედანზე იყო. არ მითამაშია და ამიტომაც გადავრჩი.

**— არ მითამაშიაო, ამბობ. მიზეზი? ვიცით, ჯანმრთელადაც ხარ და ტრავმის შემდეგ ვარჯიშიც სრული დატვირთვით განაახლე...**

— ჯანზე ნაღდად ვარ, არაფერი მაწუხებს, ფეხიც საბოლოოდ მოვირჩინე. ორი კვირა იქნება, ვარჯიში სრული დატვირთვით დავიწყე. ჯერჯერობით, მხოლოდ სარეზერვო გუნდში ვთამაშობ. ახლაც, ბოლო ტურში, 80 წუთი დავყავი მინდორზე.

**— რატომ სარეზერვო გუნდში? მწვრთნელი ჟილბერ გრესი არ გენდობა?**

— იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, გრესი ძალიან მწყალობს-მეთქი, მაგრამ... ალბათ, იმიტომ არ მათამაშებს, რომ აქამდე ტრავმა მქონდა და ჩემი თამაში, ფაქტობრივად; არც უნახავს. იგი ხომ „შტურმის" მწვრთნელად სეზონის დაწყების წინ დაინიშნა. ისე, ახლახან მომავალი მატჩის 18-კაციან განაცხადში დამასახელა, შაბათს „ზალცბურგს" ვმასპინძლობთ.

**— ესე იგი, ითამაშებ?**

— ეგ ნამდვილად არ ვიცი. ფაქტია, განაცხადში ვარ. თუ შანსი მომცა, ჩემსას ბოლომდე ვეცდები.

**— ისევ კლუბის პრეზიდენტის უცნაურ ნაბიჯს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობ, გაამართლებს?**

— ალბათ, უნდა გაჭრას. ხუთ თამაშში 1 ქულა „შტურმისთვის" კატასტროფის ტოლფასია. მანაც თავისებურად გამოხატა პროტესტი. ვატყობ, კარტნიგს მწვრთნელის მოხსნა აზრადაც არ უფიქრია და ხელიც ფეხბურთელებს შეაწმინდა. ვნახოთ, რა იქნება.

**— და რა არის მიზეზი, „შტურმი" ასე სუსტად და უხეიროდ რომ თამაშობს?**

— ზუსტი მიზეზი არ ვიცი. სეზონის წინ სამი-ოთხი ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ, მწვრთნელმაც თავისებურ ტაქტიკაზე გადააწყო გუნდის თამაში, ასე მგონია, რაღაც უცნაური სქემით გვათამაშებს, თავისებური ხუშტურები აქვს.

**— ჩანს, უკმაყოფილო ხარ...**

— „შტურმის" ფეხბურთელი ვარ და, ცხადია, გუნდის ჩავარდნა ჩემზეც მოქმედებს.

**— ხუთი ტური უკვე გაილია, გუნდი მაქსბუნდესლიგის აუტსაიდერია. არადა, სეზონის წინ მიზნად ჩემპიონობა თუ არა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა დაისახეთ...**

— ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი დაკარგულია, ჯერ ხომ სულ რაღაც ხუთი ტურია ჩატარებული. ვფიქრობ, „ზალცბურგთან" საშინაო მატჩი გარდამტეხი იქნება. ხვალიდან შეკრებას ვიწყებთ, სერიოზულად უნდა მოვემზადოთ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მთავარია, ჩვენი თამაში ვიპოვოთ და ქულებს აუცილებლად დავაგროვებთ.

**— ნაკრებზეც გკითხავ. გეცოდინება, მერაბ ჟორდანიამ ეროვნული გუნდის მწვრთნელად საკუთარი თავი დანიშნა და თანაშემწეებიც დაასახელა...**

— ჰო, ვიცი.

**— ლეგიონერი ხარ და იქნებ, შეგეხმიანენ კიდეც. თუ არა და, გაქვს იმედი, რომ საქართველოს ნაკრებში ისევ გიხმობენ?**

— შეხმიანებით არავინ შემხმიანებია. იმედი კი რატომ არ უნდა მქონდეს? თუ ვჭირდები გუნდს, ალბათ, დამიძახებენ კიდეც. ახლა არც ტრავმა მაწუხებს საბედნიეროდ და არც სათამაშო ფორმას ვუჩივი. ეროვნული გუნდი ჩემთვის ყოველთვის უმთავრესი იყო და იქნება. საქართველოს ნაკრებში თამაში ღირსების და პრესტიჟის საქმეა.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. გადადებული მატჩები

ალიანსი 1:1 იოკერიტი

ტამპერე — კტპ გადაიდო

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. V ტური

სლავია 0:0 იაბლონეცი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# მთავარმეგოლე: სხვა გზა არ გვაქვს, ლოკომოტივს უნდა მოვუგოთ

*თბილისის „დინამომ“ და მისმა შემტევმა ლადო ახალაიამ მე-15 ეროვნული ხეირიანად დაიწყეს, თუმც ბოლო ორ ტურში დინამოელებმა ოდენ ქულა შეიმატეს. მაგრამ ახალაია კვლავინდებურად ლიდერობს ბომბარდირთა დავას ხუთი გატანილი გოლით. ხვალ „დინამოს“ მეტად პრინციპული მატჩი ელის „ლოკომოტივთან“ და ახალაიასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ.*



**— დინამომ“ ბოლო ორი ტური რომ ვერ მოიგო, ეს ხანმოკლე ჩავარდნაა თუ უბრალოდ, ასე აეწყო ყველაფერი?**

— ჩავარდნა არაა. ალბათ, არ გაგვიმართლა და ორი ვერმოგებული მატჩიც ამის ბრალია.

**— ორი ვერმოგებული თამაშის შემდეგ „ლოკომოტივთან“ მხოლოდ გამარჯვება ჩაითვლება „დინამოსთვის“ დამაკმაყოფილებელ შედეგად?**

— „ლოკომოტივთან“ უნდა გავიმარჯვოთ და გავიმარჯვებთ კიდეც.

**— ამას „ლოკომოტივის“ შესაძლებლობებიდან გამომდინარე ამბობ?**

— „ლოკომოტივი“ კარგი გუნდია, მაგარამ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს — უნდა მოვიგოთ.

**— ამ სეზონში ახალი პარტნიორი გყავს „დინამოს“ თავდასხმაში — ლევან მელქაძე. როგორ ფიქრობ, ჯერ კარგად ვერ შეთამაშდით?**

— მაინცდამაინც კარგად ჯერ მართლა ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს, მაგრამ ნელ-ნელა აუცილებლად შევთამაშდებით.

**— უკვე ერთი წელია, რაც მოლდოვიდან წამოხვედი — რა შეგმატა „დინამოში“ გატარებულმა სეზონმა?**

— „დინამოში“ საკმაო რაოდენობის თამაშები ჩავატარე, კარგი შეკრებები გავიარე და ვფიქრობ, მოვუმატე თამაშს — როგორც ფეხბურთელი უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე ერთი წლის წინ.

**— საკუთარ თავს როგორი ყაიდის ფორვარდად მიიჩნევ?**

— ფორვარდისთვის საჭირო თვისებები მაქვს — თავით და დასწრებაზე თამაში, მოედნის სიღრმიდან შეტევა, მაგრამ, ვფიქრობ, ერთი გამორჩეული თვისება არ გამაჩნია.

**— წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ გოლი არ ჩაგითვალეს. ის ეპიზოდი ალბათ ვიდეოფირზეც ნახე და რას იტყოდი?**

— როცა ფირს ვუყურე, ერთხელაც დავრწმუნდი, რომ ნაღდი გოლი იყო.

**— გოლი არც ტირანაში ჩაგითვალეს. ცრურწმენა იქით იყოს და, რაშია საქმე? გათვალული ხომ არ ხარ?**

— „ტირანასთან“ ალბათ არც იყო ჩასათვლელი გოლი. ეს ეპიზოდიც ვნახე ჩანაწერზე და ძალიან სადავოა, იყო თუ არა გოლი. ცრუმორწმუნე კი ნამდვილად არ ვარ და არც გათვალული.

**— შენთვის და ყველა დინამოელისთვის მთავარი ახლა ჩემპიონობის შენარჩუნებაა, თუმც შენ მეგოლეებში დაწინაურდი და ჩემპიონატის ბომბარდირობა შენთვის ნაკლები მიზანი არ უნდა იყოს...**

— რა თქმა უნდა, ბომბარდირობა მთავარია, მაგრამ ჩემპიონობა მაინც ყველაზე მთავარია.

**— ბომბარდირობისთვის კი რა არის მთავარი?**

— რაც შესაგდებია, უნდა შეაგდო და რაც ჩასათვლელია, უნდა ჩაგითვალონ — თუ ასე მოხდა, ყველაფერი კარგად იქნება.

**— შენი მთავარი კონკურენტი ვინ იქნება ბომბარდირობაში?**

— არიან ასეთი თავდამსხმელები, მაგრამ შენ თუ ვერ გაიტანე, ყველა შენი მთავარი კონკურენტი იქნება.

**— „ლოკომოტივთან“ მატჩს დავუბრუნდეთ — რკინიგზელებს რევაზ არველაძე წვრთნის, რომელთანაც ახალგაზრდულ ნაკრებში გიწევს მუშაობა და როგორ ფიქრობ, რა სტილით ითამაშებს „ლოკომოტივი“ „დინამოსთან“?**

— ცოტა არ იყოს, რთულია, ცალსახად თქვა, როგორ ითამაშებს „ლოკომოტივი“ ჩვენთან. მაგრამ იმით, რაც რევაზ არველაძესთან ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობამ მომიწია, ვიტყოდი, რომ ის სულ თავდასხმას, შეტევას აძლიერებს და „ლოკომოტივიც“ ალბათ შეტევას გვეთამაშება.



**დავით თამართძილაძე**

# ჩალაძე ყაზანურ ფანტასტიკაში

## წინ დაგისვამ გალსტუკიან თათარსა: ყურბანმა მწვრთნელობა იცის, რუბინმა ტრანსფერი



ყურბან ბერდიევი: რუსული ფეხბურთის თათრული აღმოჩენა

*__დიდი__ ამბები ხდება ყაზანში. ქალაქი და მთელი სათათრეთის რესპუბლიკა ფეხბურთით და „რუბინით“ ცხოვრობს. ყურბან ბერდიევის გუნდმა რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში „როტორი“ დაამარცხა და მესამე ადგილზე დადგა. იმავე ტურის წინ რუბინელებმა ისტორიული ტრანსფერი განახორციელეს — პარიზიდან ყაზანში ალოიზიო ჩაიყვანეს. ამბობენ, პსჟ-ს ყოფილ თავდამსხმელში თათრებმა დიდძალი ფული გადაიხადესო. სატრანსფერო თანხის ოდენობა, ისევე როგორც ალოიზიოს ხელფასი, გასაიდუმლოებულია.*

*„რუბინში“ ალოიზიოს გადასვლა იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენებურ დავით ჩალაძეს მძლავრი კონკურენტი გამოუჩნდა, თუმც დათო მაინც იმედიანადაა, მე ჩემსას არავინ დამიკარგავსო, გვითხრა გუშინ ქართველმა შემტევმა, ყაზანში რომ შევხმიანეთ.*

*„რუბინმა“ ბოლო ტურში სწორედ ჩალაძის ერთადერთი გოლით შეძლო „როტორის“ დამარცხება.*

**— ფანტასტიკური ტრანსფერი გაჩარხეს აქაურებმა, ალოიზიო მართლაც ვარსკვლავია. მისი თამაში ტელევიზორშიც მინახავს და ყოველთვის ვაფასებდი ამ ფეხბურთელს. რამდენიმე დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და უკვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.**

**— სოლიდური კონკურენტი გამოგიჩნდა, ალოიზიო ძლიერი ფორვარდია და, ბუნებრივია, მას სკამზე არავინ დასვამს.**

— რა თქმა უნდა, ასეც იქნება, მაგრამ მე ჩემი თავის იმედი მაქვს. ყურბან ბერდიევი ყველაფერში მენდობა და თავის გამოჩენის შანსს ყოველთვის მომცემს. ბოლოს და ბოლოს, ერთი ფორვარდით თამაშს არ არის „რუბინი“ ნაჩვევი და იმედი მაქვს, ალოიზიოს მეწყვილე სწორედ მე ვიქნები.

**— ყურბან ბერდიევი ახსენე. ეს კაცი მართლაც საოცრებას სჩადის. ორ სეზონში გუნდი პირველი ლიგიდანაც ალაზევა და პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერადაც აქცია...**

— ბერდიევი მართლაც უნიჭიერესი მწვრთნელია. განსაკუთრებული, ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარი აქვს ფეხბურთელებზე. ამიტომაცაა, რომ მის გუნდს თითქმის ყოველთვის ის გამოსდის მოედანზე, რაც მწვრთნელმა დაავალა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, თუნდაც 6-7 თვის წინ, რომ ყაზანში ფეხბურთი ჰოკეიზე პოპულარული გახდებოდა. ბერდიევმა ეს შეძლო.

**— სეზონის დაწყების წინ პრემიერლიგაში დამკვიდრება დაგისახეს მიზნად. მალა ჭამაში მოდისო და, დღეს, ბუნებრივია, სხვა გეგმები გაქვთ.**

— უახლოეს ორ ტურში დიდი ომი გველის. ორი მოსკოვური გასვლა გვაქვს „სპარტაკთან“ და „ტორპედოსთან“, მაგრამ ამ და დარჩენილ სხვა მატჩებში რაც უნდა მოხდეს, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ „რუბინს“ ფანტასტიკური შედეგი აქვს. ბუნებრივია, შევეცდებით, ერთ-ერთი ევროპული საგზური მოვიპოვოთ, მაგრამ ესეც რომ ვერ შევძლოთ, აქ მაინც არავინ დაგვძრახავს. კლუბის ხელმძღვანელებმა არაერთხელ გვაგრძნობინეს, რომ ამაყობენ ჩვენით. მათი ამგვარი განწყობა ორმაგად სასარგებლოა — დარჩენილ მატჩებში ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი გვექნება, როცა სათამაშოდ გავალთ.

**— სეზონის ბოლოს „რუბინთან“ კონტრაქტი გიმთავრდება. არ შემოუთავაზებიათ ხელმძღვანელებს კლუბთან ხელშეკრულების გაგრძელება?**

— არა. ჯერ ამაზე არ ყოფილა საუბარი. სეზონის ბოლოს გადაწყდება ყველაფერი. ისე, კმაყოფილი ვიქნები, თუკი ჩემთან ხელშეკრულების გაგრძელებას მოისურვებენ ყაზანელები.

**პაატა ძვანტალიანი**



დავით ჩალაძეს ყაზანური კონკურენციის არ ეშინია

# ულვაშამ არც რუსეთში გაამართლა
## ებრაელებმა დაგვჩაგრეს!

*მოდი და, ამხანაგური მატჩი უძახე. ჩავიდნენ ებრაელები მოსკოვში, 90 წუთი აგორეს ბურთი და მშვიდად გადაფრინდნენ სამშობლოში, რუსეთში კი იმხელა აურზაური დატოვეს, კარგა ხანს არ ჩაცხრება. ბარემ აქვე ვთქვათ, რუსული საფეხბურთო სამყარო ოთხშაბათს ისე აირ-დაირია, რომ ოქტომბრამდე ნაღდად ვერ დალაგდება. ეს კი საქართველოს ნაკრების წისქვილზე ასხამს წყალს. „შინდისფერ ლეგიონს“ ოქტომბრის 12-ში ხომ სწორედ რუსეთთან აქვს ევროშესარჩევის ბოლო მატჩი. საკითხავი მხოლოდ ის არის, შეგვრჩება თუ არა სატურნირო მოტივაცია იქამდე და რას შესთავაზებს ჟორდანიას გუნდი არეულ რუსეთს.*



გაზაევი წავიდა. წავიდა და ყველაფერი ქართულ სიტუაციას მოგვაგონებს. ჩვენთანაც ასე იყო. აზალდანიშნული მწვრთნელი მოიგებდა ერთი-ორ თამაშს, გაჩნდებოდა იმედი და უცებ ბაც, ყველაფერი საპნის ბუშტივით სკდებოდა. რუსეთში კი გასკდომას გაცილებით დიდი ხმა ჰქონდა, რადგან რუსი დიდი და ამბიციურია, თან უკვე გალიზიანებულიც, რადგან აშკარად ჩანს, რომ საპორტუგალიო იმედი, რომელიც შემოდგომაზე რეალური იყო, თვალსა და ხელს შუა ელევა.

ისრაელთან წაგებული მატჩის შემდეგ გაზაევი გასახდელში შევიდა და თავჩაღუნულ ფეხბურთელებს უთხრა, მივდივარო. იგივე მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზეც გაიმეორა და გუშინ კოლოსკოვს მიადგა განცხადებით. რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცმაც უყოყმანოდ გაწყვიტა კონტრაქტი ვალერი გეორგიევიჩთან. მეტიც, ცოტა ხანში ჟურნალისტებს წარუდგა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გაზაევი და რუსთა ნაკრები:

„განსაკუთრებით ორმა ფაქტორმა დამწყვიტა გული. ფეხბურთელები ისე იქცეოდნენ მოედანზე, თითქოს მათთვის სულერთი იყო, რა მოხდებოდა. თანაც გაზაევის გუნდში ერთი გააზრებული მოქმედებაც ვერ დავინახე. ისრაელში ჯერაც არ დაწყებულა სეზონი და ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაგვჩაგრეს ებრაელებმა. იმის წარმოდგენაც კი მიჭირს, თუ რა გველის ირლანდიაში“ — თქვა კოლოსკოვმა.

კოლოსკოვი გაზაევის წასვლას უპრობლემოდ რომ გადაიტანს, თქმა არ უნდა. ამ ორს შორის ფარული ომი დიდხანს გრძელდებოდა. კოლოსკოვმა ვერაფრით მოაშორა ჯიუტი ულვაშა ცსკა-ს. არმიულ კლუბში მყუდრო ბუდე აქვს გაზაევს და რაღა გასაკვირია, რომ მხოლოდ საშარო სანაკრებო საჭეს არ დასჯერდებოდა. გაზაევმა თავისი კი გაიტანა, მაგრამ საკითხავია, დატოვებენ თუ არა ცსკა-ში. გუნდის საინტერნეტო გვერდზე უკვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ახალ მწვრთნელად ლოთარ მათეუსი მოიაზრება. ორაზროვანია ცსკა-ს პრეზიდენტის განცხადებაც — გაზაევთან კონტრაქტის გაწყვეტას ჯერ არ ვაპირებთო. სწორედ ეს „ჯერ“ ბადებს ეჭვს.

გაზაევი უკვე დამარცხებულია, რადგან დიდი ომი წააგო რუსულ მედიასთან. ალბანეთთან განადგურების შემდეგ რუსმა ჟურნალისტებმა ბლომად დაუშინეს მწვრთნელს. საქართველოსთან წაგების შემდეგ კი რუსულ პრესას შეურაცხმყოფელი სიტყვებიც არ მოჰკლებია გაზაევის მისამართით. მას შემდეგ ვალერი გეორგიევიჩი ამ ომის ჩაცხრომას საკლუბო ყოჩაღობით ცდილობდა, თუმც აქედანაც არაფერი გამოვიდა — ცსკა-მ ქულების ფლანგვას უმატა. დღეს კი რუსული მედია მაინც განაგრძობს წაქცეულის ცემას.

წასვლა ადვილია, მაგრამ გულზე ხელი? ასეთ სათაურს ვკითხულობთ გუშინდელ „სპორტ-ექსპრესის“ პირველ გვერდზე. „ვალერი გაზაევი მორიგი სირცხვილის შემდეგ წავიდა. სკანდალური წასვლა ყველაზე ადვილია, მაგრამ პატიოსანი გამოსავალი არ არის იმ ადამიანისთვის, რომელსაც მილიონობით მაყურებლის თვალწინ ჩვენი ქვეყნის ჰიმნზე გულზე ხელი ედო. ირლანდიასთან მატჩამდე 16 დღით ადრე ეს წასვლა უსულგულობას უფრო ჰგავს. გაზაევისთვის ერთადერთი გამოსავალი იყო, ამოეყვანა ნაკრები იმ უფსკრულიდან, სადაც თავად გადაჩეხა იგი“ — ამბობენ სპორტექსპრესელები.

გაზაევის კრიტიკა არც სხვა გაზეთებს დაზარებიათ. „სოვეტსკი სპორტი“ მას მოსკოვის „დინამო“ — „ანტრახტის“ 0:6-ს ახსენებს და ირონიულად კითხულობს — „დეჟავიუ, ვალერი გეორგიევიჩ?“ საინტერნეტო გვერდებმა რუსთა გულის მხეთქველიც უწოდეს უბედურ მწვრთნელს. თუმც ამათი განწყობა გულშემატკივრების გაავთრებასთან რა მოსატანია. რუსული საიტები დახუნძლულია გაზაევის, კოლოსკოვისა და ფეხბურთელების ლანძღვა-გინებით. „შენც წადი!“ — მოუწოდებენ კოლოსკოვს. „ასეთი ავადმყოფი ფეხბურთი არ გვინდა“, „ჯანდაბას ყველა რუსი მწვრთნელი, უცხოელი მოგვიყვანეთ!“ — გაჰყვირიან ქომაგები. სხვათა შორის, ისინი იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ მილიარდერი რომან აბრამოვიჩი კლაუდიო რანიერის გამოუშვებს რუსთა გასაწვრთნელად. „აბრაშა ძმა არ გაგვწირავს“, ამბობენ მეოცნებენი. თუმც ეს ისეთივე არარეალურია, როგორც გაზაევის საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა, თუმც ვინ იცის, რა არ შეიძლება მოხდეს.

ასეა თუ ისე, ირლანდიისა და საქართველოს მომლოდინე რუსეთი უმწვრთნელოდაა. 27 აგვისტოს ნაკრები პატრონს ჩაბარდებაო, ირწმუნება კოლოსკოვი და რუსთა ყაყანის კიდევ ერთი მიზეზი ესეცაა. კოლოსკოვს ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ ბოროდიუკი ჰყავს შეგულებული, რომელმაც ოთხი წლის წინ კარიერა აშშ-ში დაამთავრა. მის სამწვრთნელო პერსპექტივას ყველა ეჭვით უყურებს, ეს კაცი სიკეთეს ვერ მოგვიტანსო. თავად ბოროდიუკს კი პირში წყალი ჩაუგუბებია, ჩანს, მოვლენების შემდგომ განვითარებას ელის. კოლოსკოვს უმუშავარ რომანცევს და ბიშოვეცს შორისაც შეეძლო არჩევანის გაკეთება, მაგრამ ამბობს, ესენი უკვე მუშაობდნენ ნაკრებში და ხეირი ვერ გვანახესო. ქომაგი კი უცხოელს ითხოვს. თუმც საფეხბურთო კავშირი ცაიტნოტშია, ასე უცებ ვერ დავხატავთ კვალიფიციურ ევროპულ მწვრთნელსო.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ რუსეთმა თერთმეტი წლის მანძილზე სანაკრებოდ ექვსჯერ შეცვალა მწვრთნელი. „ორთავა არწივებთან“ სადირინს, რომანცევს (ორჯერ), იგნატიევს, ბიშოვეცსა და გაზაევს უმუშავიათ. სადირინი უცნაურად გაუშვეს, ბოლოს მან მსოფლიოს ჩემპიონატზე კამერუნი გაანადგურა 6:1. ბორის იგნატიევი კი 1998 წელს საქართველომ იმსხვერპლა, მისმა გუნდმა მაშინ თბილისში ამხანაგურ მატჩში ფრე გააგორა „შინდისფერებთან“.

ქართველებს უნდა შესწირვოდა გაზაევიც, მაგრამ იგი თბილისური მარცხის შემდეგ სასწაულებრივ გადაურჩა ცეცხლს, თუმც დიდი ხნით ვერა, ოთხშაბათს რუსეთში ბომბი ისრაელმა ჩააგდო...

**ბაატა კვანტალიანი**





ებრაელთაგან ძლევამ მთელი რუსეთი გააოგნა და გააცოფა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## IX ჯგუფი

# ილიას პირველი



რაიან გიგზმა სერბული ალყა ვერ გაარღვია

**სერბეთი 1:0 უელსი**

**1:0 მლადენოვიჩი (73)**

**სერბეთი: ჟევრიჩი, ცირკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, კრსტაიჩი, მლადენოვიჩი, სტეფანოვიჩი, გავრანჩიჩი, ვუკიჩი (ილიჩი 67), დ. სტანკოვიჩი (პ. ჯორჯევიჩი 81), კეჟმანი (მილოშევიჩი 71), დ. კოვაჩევიჩი**

**უელსი: ჯოუნსი, დილანი, სპიდი, გაბიდონი, პეიჯი, პემბრიჯი, სევიჯი, ბელამი, ნ. ბლეიქი (ერნშოუ 78), ს. დევისი, გიგზი**

**მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**

**30 000 მაყურებელი**

ბაქოში შერცხვენილი სერბეთ-ჩერნოგორია დაუმარცხებელ უელსს ახალი მწვრთნელით დაუხვდა. აზერბაიჯანში წაგებული მატჩის შემდეგ დეიან სავიჩევიჩმა პოსტი საკუთარი ნებით დატოვა. მის ნაცვლად ბორა მილუტინოვიჩის დანიშვნას აპირებდნენ. მილუტინოვიჩმა ოჯახური მიზეზების გამო სამსახური იუარა, თუმცა კი მოულოდნელად თავი ჰონდურასში ამოყო. ამგვარად, მთავარმწვრთნელობა ილია პეტკოვიჩს ერგო. პეტკოვიჩმა ნაკრები გამოაცოცხლა და სავიჩევიჩს მომდურებელი მატია კეჟმანი გუნდში დააბრუნა, რომლის მოცდენაც მართლაც ცოდვა იყო.

30 ათასი ქომაგით გამხნევებული მასპინძლები პირველიდან ბოლო სასტვენამდე უტევდნენ. უელსელთა უძლეველობა სადღაც უნდა დასრულებულიყო და ბელგრადში მოხდა. დარკო კოვაჩევიჩით და მატია კეჟმანით შემტევ დამხვდურებს დეიან სტანკოვიჩის ნაპერწკალი აფეთქებდათ. მეათე წუთზევე მის კუთხურს მცველთა დაბნევა და ადლიდან კოვაჩევიჩის დარტყმა მოჰყვა. პოლ ჯონსის ფეხიდან ბურთი მინდორს გაშორდა.

დაახლოებით ოცწუთიანი მცდელობის შემდეგ მასპინძლები მინელდნენ და მეტოქის სანახები უელსმაც გაკვალა. სტუმართაგან რაიან გიგზი გამოირჩეოდა. მოწინააღმდეგეს მისსავე ნახევარზე რამდენჯერმე ბურთიც აწაპნა და მარცხენა ფლანგიც დააუთოვა. მანჩესტერელის გარჯამ ორი კარგი პასით იბარტყა, რომელთაგან ერთი ნათან ბლეიკმა მიაფუჩეჩა, მეორე კი საიმონ დევისმა. კრეიგ ბელამი თავის ნაჭუჭში ვერ იყო და უელსური სურათიდან გარიყული ჩანდა.

მინელებული დამხვდურები ძელის რახრახმა გამოაფხიზლა. შეხვედრის დასაწყისიდან ნახევარ საათში სტანკოვიჩმა ოცდახუთიოდ მეტრიდან დასხლიტა ბურთი, რომელსაც პოლ ჯონსი ვერ მისწვდა და მარჯვენა ძელმა მოიგერია.

შესვენებამდე გუნდებმა კარიდან კარამდე სწრაფად და სახალისოდ ირბინეს, მაგრამ შეტევები ან საჯარიმოს ხაზთან მუხრუჭდებოდა, ან კიდევ ცენტრში იხლართებოდა.

მეორე ტაიმი სერბებმა პირველივით დაიწყეს, მაგრამ მარკ ჰიუზის წელგამართულ ნაკრებს ვერაფერი დააკლეს. ილია პეტკოვიჩს მეორე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი აქვს. ამიტომ თავადაც ფრთხილობდა და პირველი ცვლილება მხოლოდ 67-ე წუთზე გააკეთა. ვუკიჩის ნაცვლად საშა ილიჩი შეუშვა. მალევე კეჟმანმა ადგილი სავო მილოშევიჩს დაუთმო. მათ თამაში გამოაცოცხლეს. შეხვედრის დასრულებამდე ჩვიდმეტი წუთი რჩებოდა, სერბთა ახალწვეულმა დრაგან მლადენოვიჩმა კუთხურიდან ჩაწოდე-ბულ ბურთს საგოლედ [illegible] კრა.

უელსელთაგან საუკეთესო შანსი რობერტ ერნშოუს ჰქონდა, რომლის დარტყმულიც მლადენ კრსტაიჩმა კარის ხაზიდან გამოიტანა.

„ჩვენმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა და წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. ზუსტად ასევე ვიბრძოლებთ 6 სექტემბერს იტალიაში" — თქვა მარკ ჰიუზმა.

ილია პეტკოვიჩი: „ამ გამარჯვებით რწმენა დავიბრუნეთ. ბიჭებმა თავისი ქვეყნისთვის იბრძოლეს და შედეგიც საკადრისი მოიმკეს". სერბეთ-ჩერნოგორიას ორი მატჩი დარჩა გასამართი. ათ სექტემბერს შინ იტალიასთან, თერთმეტ ოქტომბერს კი სტუმრად უელსთან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:14 | 4 |

**ვაჟა ხუციშვილი**

## V ჯგუფი

**ფარერები 1:2 ისლანდია**

**0:1 გუდიონსენი (5), 1:1 რ. იაკობსენი (67), 1:2 მარტეინსონი (72)**

**ფარერები: მიკელსენი, ი. პეტერსენი, ტორსტენისონი (ი. იოენსენი 79), ი. იაკობსენი, ს. ოლსენი, რ. იაკობსენი, ჯ. იონსონი, კ. იაკობსენი, ჯ. პეტერსენი (პ. პეტერსენი 79), ავფლოტუმი (ელტორი 57), იოჰანესენი**

**ისლანდია: არასონი, ბიარნასონი, ვიდარსონი, ი. გუდიონსონი, მარტეინსონი, კრისტინსონი (ჰელგუსონი 78), ბრეიდარსონი, გუნარსონი (გრეტარსონი 72), გუდიონსენი, ტ. გუდიონსონი, ჰ. სიგურდსონი (ი. სიგურდსონი 87)**

**მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)**

**3 402 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | 7 |
| ფარერები | 6 | 0 | 1 | 5 | 5:12 | 1 |

# ამხანაგური მატჩები

# ყაზახეთის მეგობარი ქვეყნები

**პორტუგალია 1:0 ყაზახეთი**

**1:0 სიმაო (65)**

**პორტუგალია: რიკარდუ (ბრუნო ვალე 82), მ. მონტეირუ, რუი ჟორჟე (ნუნუ ვალენტე 61), მეირა (ჟორჟე ანდრადე 46), ფ. კოუტუ, კოშტინია (მ. რიბეირუ 46), ფიგუ (კ. რონალდო 46), დეკო სოუზა, პაულეტა (პოსტიგა 61), რუი კოშტა (სიმაო 46), უგო ვიანა**

**ყაზახეთი: ნოვიკოვი, არტიომოვი, დუბინსკი, სოლოშენკო, შკურინი (ნურდაულეტოვი 84), სმაკოვი (აბალინი 85), ლოვჩევი, კარპოვიჩი, ჟუმასკალიევი (აკსენოვი 70), ბოგომოლოვი (ლუნიოვი 76), ბულეშევი**

**მსაჯი: ხულიან როდრიგესი (ესპანეთი)**

**8 000 მაყურებელი**

ამხანაგური მატჩების ნუსხას რომ გადახედავთ, ლატვიაში ჩასულ უზბეკეთს, პორტუგალიაში გამგზავრებულ ყაზახეთს და იაპონიაში ჩაფრენილ ნიგერიელ „სუპერარწივებს" ნახავთ.

საქართველოს მეგობარი ქვეყნები, აბა, სად არიან? ჩვენთან ამხანაგობა არავის სურს თუ ჩვენ ვერ მოვძებნეთ ერთი მობურთალი პარტნიორი?

აგერ, ყაზახეთი გაევროპელეს. მათაც არ მორიდებიათ პორტუგალიელებთან შეხვედრისა. აზიიდან ევროპის სამხრეთ კუნჭულს ეწვივნენ. ითამაშეს, იბრძოლეს და ბრაზილიის მომგებ პორტუგალიას ერთ საათზე მეტხანს გაუძლიანდნენ.

მასპინძლები იმ ახალგალვიძებულებივით გამოიყურებოდნენ, პირის დასაბანად წყალი რომ ვერ უნახავთ. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნამატჩევს ორიოდ წინადადება თქვა: „სეზონი ახალდაწყებულია და ფეხბურთელთა უმეტესობა სასურველი ფორმისგან შორსაა. ეს ბუნებრივია და ამის გამო პანიკის ატეხვა არ ღირს. მძიმედ, მაგრამ მოვიგეთ. მთავარი კი გამარჯვებაა".

ყაზახებს კარგად შედუღაბებული დაცვა ჰქონიათ და დამხვდურებს თურმე ამიტომ გასჭირვებიათ გალაღება.

დულაბმა მეორე ტაიმის შუაწელამდე გაძლო. საჯარიმოში მომხდარი შემთხვევა რომ არა, მატჩი ეგებ უგოლოდაც დამთავრებულიყო. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან იგორ სოლოშენკომ ბურთი მოიგერია, რომელიც შეცვლაზე შესულ სიმაო საბროსას მკერდზე მოხვდა და კარში შეძუნძულდა.

თავის მხრივ სტუმრებს გატანა პირველ ტაიმში შეეძლოთ. ალიბეკ ბულეშევი ორ მცველს დაუსხლტა და რიკარდო პარეირამ საკმაოდ ძლიერად დარტყმული მოიგერია.

სკოლარიმ მეორე ტაიმში შვიდი ფეხბურთელი შეცვალა და მოედანზე შესულთა შორის კრისტიანო რონალდოც იყო. ეს მისი სანაკრებო დებიუტი გახლდათ.

ეს შეხვედრა პატარა ჩავესში გაიმართა და სულ 8 ათასამდე ქომაგი დაესწრო. მომდევნო მატჩს პორტუგალიელები გიმარაეშში ითამაშებენ, 6 სექტემბერს ესპანელებს ეამხანაგებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**



ყაზახები ლუიშ ფიგუს და პორტუგალიელებს გაუძალიანდნენ

**ანგოლა 0:2 კონგოს დრ**

**კოლუმბია 0:0 სლოვაკეთი**

**ეკვადორი 2:0 გვატემალა**

1:0 ბალდეონი (6), 2:0 აგინაგა (50)

**ვენესუელა 3:2 ჰაიტი**

0:1 პეგერო (54), 0:2 მაქსო (68), 1:2 ვიელმა (77), 2:2 გონსალესი (83), 3:2 რიბერო (88)

**მექსიკა 1:3 პერუ**

0:1 კ. პიზარო (1), 0:2 ზარგარა (30), 0:3 სოლანო (32), 1:3 ტრუხილიო (53)

**იაპონია 3:0 ნიგერია**

1:0, 2:0 ტაკაჰარა (1, 39), 3:0 ენდო (72)

**ჩინეთი 0:0 ჩილე**

**სლოვენია 2:1 უნგრეთი**

1:0 შუკალო (3), 2:0 ციმეროტიჩი (76), 3:0 მ. ფეჰერი (90)

**ბელარუსი 2:1 ირანი**

1:0 რომაშჩენკო (9პ), 2:0 შტანიუკი (41), 2:1 ნური (84)

**ლატვია 0:3 უზბეკეთი**

0:1 აკოპიანცი (41), 0:2 სოლიევი (80), 0:3 გენრიხი (86)

**თურქეთი 2:0 მოლდოვა**

1:0 ნიჰათი (30), 2:0 ოკან ილმაზი (55)

**დანია 1:1 ფინეთი**

1:0 გრონკიაერი (42), 1:1 რიიჰილაჰტი (88)

**ბულგარეთი 3:0 ლიტვა**

1:0 დიმიტროვი (25პ), 2:0 ბერბატოვი (33), 3:0 დიმიტროვი (45)

**ესტონეთი 1:2 პოლონეთი**

0:1 სობოლევსკი (51), 0:2 ვიშნიარეკი (90), 1:2 ლემსალუ (90)

**ლიხტენშტაინი 2:2 სან მარინო**

1:0 ფრიკი (16), 2:0 ბურგმაიერი (23), 2:1 ბ. გასპერონი (39), 2:2 კიაჩი (45)

**ნორვეგია 0:0 შოტლანდია**

**ავსტრია 2:0 კოსტა რიკა**

1:0 გლიდერი (34პ), 2:0 ვალნერი (70)

**ტუნისი 0:0 გვინეა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

# ბევრი გრძელი და სასურველზე დიდი

**ინგლისი 3:1 ხორვატია**

**1:0 ბექემი (10პ), 2:0 ოუენი (51), 2:1 მორნარი (77), 3:1 ლამპარდი (80)**
**ინგლისი: ჯეიმსი (პ. რობინსონი 46), ფ. ნევილი (მილსი 82), ტერი, რ. ფერდინანდი (აპსონი 61), ეშლი კოული (ბრიჯი 61), ბექემი (ჯ. კოული 61), სქოულზი (ტ. სინკლერი 61), ბათი (ლამპარდი 27), ჯერარდი (დენი მერფი 82), ოუენი (დაიერი 61), ჰესკი (ბიტი 76)**
**ხორვატია: პლეტიკოშა (ბუტინა 70), შიმიჩი (სრნა 46), რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, ტივკოვიჩი (სერიჩი 73), ტომაში, ლეკო (როსო 60), ნ. კოვაჩი (აგიჩი 73), რაპაიჩი (ბაბიჩი 46), ოლიჩი, მ. მარიჩი (მორნარი 48)**
**მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)**
**28 700 მაყურებელი**

ინგლისმა ხორვატიას 3:1 მოუგო და მართალია ეს შეხვედრა ამხანაგური გახლდათ, მისთვის დაუმარცხებელ თამაშთა რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა — ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლი სადაცაა უცხელეს დღეებს ელის და გუნდები დიდ სამზადისში არიან. სამზადისს ემსახურებოდა იფსვიჩის „პორტმენს როუდზე" გამართული ეს შეხვედრაც.

ხორვატთა კარში გოლები გაიტანეს კაპიტანმა დევიდ ბექემმა, მაიკლ ოუენმა და ფრენკ ლამპარდმა. ინგლისელთა კარში, ერთადერთი საპასუხო, შეცვლაზე შესულმა ივიცა მორნარმა შეაგდო.

გამარჯვებას ინგლისელთათვის, როგორც ამბობენ, ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. ახლა, სვენ გორან ერიკსონის შეგირდები სექტემბერში ლიხტენშტაინსა და მაკედონიას, ოქტომბერში კი თურქეთს სხვაგვარი განწყობით დაუპირისპირდებიან.

ბექემმა, რომელიც ამ ზაფხულს მადრიდის „რეალში" გადასვლის გამო ევროპული გაზეთების პირველები გვერდებიდან არ ჩამოსულა, ანგარიში პენალტით გახსნა. პენალტის მიზეზი ხორვატი მცველის, იოზიპ სიმუნიჩის ყოვლად უსაგნო და გაუმართლებელი „ხელბურთი" გახლდათ და ეს ყოველივე მე-9 წუთზე მოხდა.

მაგრამ, შეხვედრის ასე დაწყების მიუხედავად, პირველ ნახევარ საათში, შეტევაში ყოფილმა იუგოსლავიელებმა უფრო გამოიჩინეს თავი — ისინი უპირატესად მარჯვენა ფრთას აწიოკებდნენ. მიზეზი: სტივენ ჯერარდისთვის მარცხენა ნახევარმცველის ფუნქცია უცხოა, ხოლო ამ ფუნქციის შესრულება იმიტომ დასჭირდა, რომ ინგლისელებს ამ ამპლუაში რაღაცის მოფიქრება უნდათ, თორემ თავს დაუბალანსებლად გრძნობენ.

ხორვატებს გოლის გატანის შესაძლებლობა 37-ე წუთზე ჰქონდათ: მარიო მარიჩის თავური დევიდ ჯეიმსმა ზედ ხაზზე გააჩერა, თუმცა იმწამსვე წამოხტომა და ივიცა ოლიჩის დამატებულისთვის ხელის შეშლაც მოუხდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც ინგლისელების შვედ მწვრთნელს დაშავებული ნიკი ბათის ლამპარდით შეცვლა უკვე მოუხდა. შესვენების შემდეგ ინგლისელებმა შეცვალეს მეკარეც — პოლ რობინსონმა მესამედ მიიღო სანაკრებო შეხვედრაში მონაწილეობა. რაც შეეხებათ ხორვატებს, მათ შესვენებაზე სამი მოთამაშე გამოცვალეს.

მეორე ტაიმში, მეექვსე წუთზე, მასპინძლებმა მეორე გოლი შეაგდეს: ჯერარდმა ბურთი ბექემს მიაწოდა, ხოლო „რეალის" ნახევარმცველმა დაუყოვნებლივ, უმეთვალყურეოდ დატოვებული მაიკლ ოუენი მოძებნა. ლივერპულელმა თავით გოლის შეგდება არ დაახანა. ეს გოლი ამ ახალგაზრდა კაცისთვის 23-ე იყო 51-ე სანაკრებო შეხვედრაში.

შემდეგ ერიკსონმა ხუთი კაცი (მათ შორის ბექემი და ოუენიც) შეცვალა, ხოლო მორნარმა, 77-ე წუთზე, ახლოდან სხვაობა შეამცირა, თუმცა ხუთკაცშეცვლილმა ინგლისელებმა სამი წუთის შემდეგ სხვაობის ისევ ორამდე გაზრდა მოახერხეს. ეს ამბავი ასე მოხდა: მარცხენა ფრთაზე კირონ დაიერმა და უეინ ბრიჯმა ჩინებული კომბინაცია გამართეს, რისი გაგრძელებაც ჯეიმს ბიტის მიერ ლამპარდისთვის ბურთის დაგორება და 20 მეტრიდან ღონივრად დარტყმა გახლდათ.

ერთადერთი უარყოფითი, რაც საბოლოოდ მასპინძლებს შეემთხვათ, ბათის ზემოხსენებული და კიდევ ემილ ჰესკის ტრავმები გახლდათ, მაგრამ არც ერთი და არც მეორე სერიოზული არ გამოდგა.

„თავიდან ნორმალურად დავიწყეთ, მაგრამ პირველი ტაიმის მეორე ნახევარში ჩვენს თამაშს კარგი აღარ ეთქმოდა — განაცხადა ერიკსონმა — შესაძლოა ჩვენი მინუსი გრძელი პასების გადაჭარბებული გამოყენება გახლდათ და მცველებს, ნახევარმცველებს და თავდამსხმელებს შორის მანძილებიც სასურველზე დიდი იყო. ხორვატებმა ორი-სამი საუცხოო მომენტი შექმნეს, თუმცა მეკარე ჯეიმსის ჩინებული თამაშის გამო გოლი ამ ეპიზოდებში ვერ გაიტანეს. რაც შეეხება მეორე ტაიმს, აქ ჩვენ ბურთიც უკეთ გვეჭირა და სხვა კომპონენტებშიც ვყოჩაღობდით".

ხორვატების თავკაცი ოტო ბარიჩი: „სამწუხაროა, ამაზე მეტი რომ ვერ მოვახერხეთ, მაგრამ საკუთრივ ტესტი კარგი იყო. გამაწბილა ზოგიერთმა ფეხბურთელმა. ზოგიერთ მათგანს ნაკრებში აღარ გამოვიძახებ".

**პაპუნა ძიძია**





დევიდ ბექემმა სვენ გორან ერიქსონი გოლით და კარგი თამაშით გაახარა



სილვენ ვილტორდმა იორგ შტილს საგოლედ დაურტყა

# ტაიმ-გოლი შენევაში

**შვეიცარია 0:2 საფრანგეთი**

**0:1 ვილტორდი (13), 0:2 მარლე (55)**
**შვეიცარია: შტილი (ცუბერბიულერი 46), რ. მაიერი, მ. იაკინი (ცვისიგი 46), ანშო, ბერნერი, სელესტინი (მუგელი 78), პ. მიულერი (ვიკი 78), ფოგელი (კანტალუპი 86), კაბანასი, ა. ფრეი, შაპუიზა (რამა 46)**
**საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (სანიოლი 62), დესაი (ბუმსონგი 78), სილვესტრი, ლიზარაზუ, ვილტორდი (ჯ. სისე 69), ვიეირა (პედრეტი 46), დაკური (დაბო 83), ზიდანი (ჟიული 69), ანრი (მარლე 46), ტრეზეგე (პირესი 62)**
**მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)**
**30 000 მაყურებელი**

ევროპის ჩემპიონებმა ოსტატური თამაშით მხოლოდ 2:0 მოუგეს საქართველოს ნაკრების ახლო ნაცნობსა და თანაჯგუფელს, შვეიცარიას, მაშინ, როდესაც ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, შესაძლოა „სტად დე ჟენევის" ტაბლოზე სულ სხვა ანგარიში ყოფილიყო გამოსახული.

გოლები ტაიმებზე განაწილდა. პირველი, სილვენ ვილტორდმა მე-13 წუთზე გაიტანა, ხოლო მეორე, სტივ მარლემ 55-ზე — ერთი სიტყვით, საფრანგეთის ნაკრებმა ზედიზედ მეცხრე თამაში მოიგო.

ზინედინ ზიდანი, რომელზეც სააგენტო „როიტერის" მიმოხილვაში წერია, რომ ტექნიკით, მოძრაობითა და პასებით თანაგუნდელთა ჭეშმარიტ ლიდერად მოგვევლინა, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სულაც არ ყოფილა საუკეთესო ფორმაში, 69-ე წუთზე გაიყვანეს მოედნიდან და ზემოხსენებული „სტად დე ჟენევის" ტრიბუნებმა ფეხზე ადგომით მოუწყეს ოვაცია.

კლოდ მაკელელე, ზიდანის თანაგუნდელი ნაკრებშიცა და მადრიდის „რეალშიც", რომელსაც კლუბთან ხელფასის გამო გაუმწვავდა ურთიერთობა, გაიფიცა და დღეისათვის სრულ გაუგებრობაშია, საფრანგეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ ალბათ, ნაწილობრივ მადრიდელთა საამებლად, არ ათამაშა, მაგრამ ამის მიუხედავად, გუნდი შემოქმედებითის გარდა „შავი" სამუშაოს მხრივაც დამაკმაყოფილებლად გაისარჯა.

კიდევ, აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ცნობილ მცველს, მარსელ დესაის 109-ჯერ ეცვა ლურჯი მაისურა. მომენტების შექმნა კი ფრანგებმა მე-2 წუთიდანვე დაიწყეს — ვილტორდმა ღონიერი დარტყმით ააცილა. მე-12 წუთზე, ზემოხსენებულმა დესაიმ ზიდანის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერ ჰკრა თავური, მე-13-ზე კი ევროპის ჩემპიონთა გუნდი დაწინაურდა: ზიდანის პასით ვილტორდი მარჯვენიდან შეიჭრა მიზნისკენ, როდესაც მეკარე იორგ შტილი გამოენთო და ბურთს ჩაუხტა, არსენალელმა იგი მაინც იხელთა და 20 მეტრიდან ბადეში შეაგდო.

შემდეგ გოლების გატანა ტიერი ანრისაც შეეძლო და დავიდ ტრეზეგესაც, ხოლო შვეიცარიელებმა ფრანგთა კარისკენ მხოლოდ 38-ე წუთზე შეუტიეს, ოღონდ, რიკარდო კაბანასის დარტყმული ფაბიენ ბარტეზის იოლი ლუკმა გახდა.

ორი წუთის შემდეგ ბარტეზმა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში" ერთია, საფრანგეთის ეროვნულ გუნდში კი მეორე, მურატ იაკინის საჯარიმოც მოიგერია — ეს უფრო რთული ეპიზოდი იყო.

შესვენების შემდეგ შვეიცარიელებმა მეტად გამოიღეს ხელი, მით უფრო მას შემდეგ, რაც ორივე გუნდში მომხდარმა ცვლილებებმა თამაშის ტემპი და დაძაბულობა ცოტა არია. ბარტეზმა, მაგალითად, შეცვლაზე შესული მილიამ რამას დარტყმული საჯარიმოც მოიგერია, მერე კი რაფაელ ვიკის მცდელობას გადაუდგა წინ, მაგრამ გოლი, საბოლოოდ, იქით გავიდა: ვილტორდის პასით მარლემ 20 მეტრიდან დაარტყა ზუსტად.

ამის შემდეგ ისევ ევროპის ჩემპიონებს ჰქონდათ მომენტები. კერძოდ, ბენუა პედრეტიმ ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო ჯიბრილ სისემ მასპინძელთა მეკარეს გვარიანი ოსტატობა გამოამჟღავნებინა.

**პაპუნა ძიძია**

# ამხანაგური მატჩები

## უმაღლესი კლასის მოყვარეები
### სამი წელი გასულა, რუდი!

**გერმანია 0:1 იტალია**

**0:1 ვიერი (17)**
**გერმანია: კანი, ჰინკელი, ბაუმანი, ვიორნსი (რემერი 46), რაუ, ბ. შნაიდერი, რამელო (კელი 46), იერემისი, ფრაიერი, ბობიჩი (კლოზე 60), ნოივილი (ლაუტი 71)**
**იტალია: ბუფონი, პანუჩი, კანავარო, ლეგროტალიე (ფერარი 79), ძამბროტა, კამორანეზი (ფიორე 64), ტაკინარდი, პეროტა, დელ პიერო (დელვეკიო 55), ტოტი (კორადი 75), ვიერი (ამბროზინი 69)**
**მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)**
**50 328 მაყურებელი**

იტალიამ გერმანიას შტუტგარტში მოუგო. თამაში დაძაბულობითა და დატვირთვით ახლოს იყო ოფიციალურთან. სტუმართა თავდასხმამ მასპინძელთა დაცვას აჯობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ გერმანიის ნაკრებს ტრავმათა მიზეზით საუკეთესო შემადგენლობა არ ჰყავდა.

მეორე მხრივ, განა გერმანელთა შესუსტებული დაცვისთვის საინტერესო არ იყო დელ პიეროს, ტოტისა და ვიერის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის გამოცდა? სხვა ამბავია, რომ იუვენტუსელმა დელ პიერომ და რომაელმა ტოტიმ პასებით ჩინებული თამაში ააწყვეს, გერმანელ მცველებს გაუძვრ-გამოუძვრნენ და ვიერიც დასარტყმელ პოზიციაში გაიყვანეს. ეს ამბავი მე-17 წუთზე გოლით დასრულდა.

23-ე წუთზე ტოტიმ და ვიერიმ გაათამაშეს კომბინაცია, რაც საბოლოოდ დელ პიეროს გოლით დასრულდა, თუმცა დანიელმა მსაჯმა, კიმ მილტონ ნილსენმა ოფსაიდის გამო გოლი არ ჩათვალა — იყო კი თამაშგარე?

ახლა ის მთავარი ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, რომლებიც გერმანელებს აკლდნენ. მიხაელ ბალაკი, და სებასტიან დაისლერი მათ შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავნი არიან, ისინი ხომ თამაშის შემოქმედებით ბერკეტებს ფლობენ, თუმცა მათ გარდა ბუნდესმწვრთნელის, რუდი ფიოლერის განკარგულებაში კიდევ ექვსი კაცი არ იყო.

და მაინც, მეორე ტაიმში მასპინძლები ერთიორად უკეთ ათამაშდნენ. ამის მიზეზად მოედანზე ბერლინის „ჰერტას" მოთამაშის, მარკო რემერისა და დორტმუნდელი სებასტიან კელის გამოჩენა დაასახელეს.

„ნაკრების შინ დამარცხება ყოველთვის განსაკუთრებით მტკივნეულია -- განაცხადა მატჩის შემდეგ ფიოლერმა, რომელიც 1987-1992 წლებში „რომას" ფორვარდი გახლდათ და ცოლიც იტალიელი ჰყავს — მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ, თუმცა შესაძლებლობები ხელიდან გავუშვით. გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ იტალიას უმაღლესი კლასის გუნდი ჰყავს. დელ პიეროს, ტოტის და ვიერის სრულად განეიტრალება უბრალოდ შეუძლებელია".



რუდი ფიოლერი და ოლივერ კანი კრისტიან ვიერიმ მშრალზე დატოვა






დიახ, როგორც მოგახსენეთ, გერმანელთა ნახევარდაცვამ მეორე ტაიმში „მიპრესა" სტუმართა გუნდი და „იუვენტუსის" გოლკიპერს, ჯანლუიჯი ბუფონს მძიმე საღამო უძლვნა. ალბათ, ამიტომ თქვა „სკუადრა ატურას" მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ, რომ გერმანელები ფრეს იმსახურებდნენო.

„მეორე ტაიმში ჩვენ კალაპოტიდან ამოვვარდით, მაგრამ ეს არაფერი, რადგან იტალიაში სეზონი ჯერ არ დაწყებულა და საუკეთესო ფორმაში სულაც არ ვართ" — განაცხადა დონ ტრაპმა.

მოგეხსენებათ, შეხვედრამდე გერმანიაში საკმაოდ ხმაურობდნენ — მეკარე ოლივერ კანის ნათქვამმა, ჩვენი მოთამაშეებიდან ბევრი ეროვნული გუნდისთვის თავს არ სდებსო, ბუნებრივია, კამათი გამოიწვია, მაგრამ ცხადია ისიც, რომ იტალიელებთან დამარცხება პრობლემას მხოლოდ გაამძაფრებდა. სხვა თუ არაფერი, ფაქტია, რომ 2000 წლის ოქტომბრის შემდეგ, როდესაც გერმანელებმა „უემბლიზე" ინგლისელებს 1:0 მოუგეს, მათ მსოფლიოს დიდ ანუ პირველხარისხოვან ნაკრებთან წარმატებისთვის არ მიუღწევიათ.

სხვა საქმეა, რომ გერმანიის ეროვნული გუნდი მეხუთე შესარჩევი ჯგუფის ლიდერია და 6 სექტემბერს ისლანდიაში, 11 ქულას კიდევ სამს მიათვლის, თუმცა შემდეგ, ოთხ დღეში, შოტლანდიას უმასპინძლებს.

იტალია ჯგუფს ვერ ლიდერობს, მეცხრეში მეორე ადგილზეა, მაგრამ თუ უელსს მოუგებს — ეს მატჩიც 6 სექტემბერსაა — ლიდერი გახდება და შემდეგ სერბეთს ეწვევა.

**პაატა ძიდია**

## ძუნწი და უხეში

**ბელგია 1:1 ჰოლანდია**

**1:0 სონკი (38), 1:1 მაკაი (54)**
**ბელგია: დე ფლიგერი, დეფლანდრე (დე კოკი 62), სიმონსი, ვან ბუიტენი (ვალგაერენი 46), კლემენტი, ბასეჯიო (დემახტი 46), გოორი, სონკი (სოტერსი 78), ბუფელი (ვალასიაკი 46), მ. მპენზა (ს. მარტენსი 41), ვან დამი (ვან დერ ჰიდენი 46)**
**ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი (ოიერი 46), ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი (ზენდენი 46), კოკუ, ზეედორფი (ვან ბომელი 46), დავიდსი (ოვერმარსი 46), ვან ნისტელროი (მაკაი 46), კლუივერტი, ვან დერ ვაარტი**
**მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)**
**32 000 მაყურებელი**

ყველაზე არაამხანაგურად ბრიუსელში მეზობლებმა ითამაშეს. სტადიონზე მისულმა 32 ათასმა გულშემატკივარმა თორმეტი შეცვლა, ორი გოლი და ორი გაძევება იხილა.

ეს მატჩი სულ არ ჰგავდა ამ გუნდების ძველ შეხვედრას, 5:5 რომ დამთავრდა. მეტოქეებმა იძუნწეს, იუხეშეს და მაყურებლისთვის მეტი ვერაფერი გაიმეტეს.

გოლები გაიტანეს მათ, ვინც ზაფხულში კლუბები გამოიცვალეს, ვესლი სონკი ბელგიიდან აიბარგა და ამსტერდამის „აიაქსს" შეუერთდა, როი მაკაიმ კი ლა კორუნია მიუნხენში გაცვალა.

შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე სიონკმა თავისი შანსი გამოიყენა და მასპინძლები დააწინაურა, ნისტელროის ნაცვლად შეცვლაზე შესულ მაკაის კი საგოლედ მცირე დრო დასჭირდა.

გერმანელმა მსაჯმა ჰერბერტ ფანდელმა თამაშის დამთავრება ფილიპ კოკუს არ აცალა. ბელგიელებს ათწუთიანი კაცმეტობა უბოძა, მაგრამ „წითელმა ეშმაკებმა" გამარჯვების გოლის გატანა ვერ შეძლეს. უკვე დამატებით დროში მასპინძელი ოლივიე დე კოკიც კოკუს გზას გაუყენა. დე კოკი გასახდელში დანარჩენებზე ნახევარი წუთით ადრე თუ შევიდოდა.

ჰოლანდია ექვს სექტემბერს ავსტრიას უმასპინძლებს, მერე კი პრაღაში ჩეხებს ეწვევა. ბელგიელები მომდევნო თვის ექვსში ხორვატებს ბრიუსელშივე უმასპინძლებენ.

**გაგა ხუციშვილი**



ერიკ დეფლანდრე და ედგარ დავიდსი

## შვედებმაც იციან
### ერთ საამზე ოთხი კი არა, ორიც ზედმეტია

**შვედეთი 1:2 საბერძნეთი**

**1:0 ა. სვენსონი (16), 1:1 იანაკოპულოსი (63), 1:2 კაფესი (65)**
**შვედეთი: ისაკსონი (შედმანი 46), ლუკიჩი, მელბერგი, მიხაელ სვენსონი, დორსინი (ედმანი 46), ლინდეროტი, ნილსონი (ფარნერუდი 46), ა. სვენსონი (კალსტრიომი 46), ა. იოჰანსონი (ანდერს ანდერსონი 64), ოლბოკი (შრიკა 22), სკოოგი (ა. იაკობსონი 72)**
**საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი (კაცურიანისი 60), დელასი, კაპსისი (დაბიზასი 79), ფისასი (გეორგიადისი 46), ანცასი, ზაგორაკისი (ბასინასი 46), კარაგუნისი (კაფესი 46), იანაკოპულოსი (ხუტოსი 71), ხარისტეასი (ვრიზასი 46), ნიკოლაიდისი (ცენტიდისი 46)**
**გაძევება: ლინდეროტი (45)**
**მსაჯი: იუნი ჰიიტია (ფინეთი)**
**15 018 მაყურებელი**

1997 წლიდან შვედეთის ნაკრებს ორი მწვრთნელი ჰყავს, ლარს ლაგერბეკი, მეტსახელად „ლასი" და ტომი სოდერბერგი. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩრდილოელებს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშიათ. ამჟამად ისინი ევრო 2004-ის მეოთხე შესარჩევი ჯგუფის ლიდერები არიან. შვედეთის დიდმეგოლე ჰენრიკ ლარსონი გამოემშვიდობა, ჩემი ნიჭი „სელტიკს" უნდა მოვახმაროო. მის შემცვლელად მარკუს ოლბოკს მიიჩნევენ და ისიც ბურთს საკმაოდ უნარიანად მწყემსავს. მოკლედ, უკეთესი მომავლისთვის ყველაფერი აქვთ, მაგრამ ტომი სოდერბერგმა ბერძნებთან მატჩამდე თქვა, პორტუგალიის საგზურს რომ მოვიპოვებთ, ჩემ წილ სკამს დავტოვებ და წავალო. „ახალი სისხლი ყოველთვის საჭიროა. ეს ნორმალური პროცესია და ვგრძნობ, ჩემი აბარგების დრო მოვიდა, საქმეს ლაგერბეკი უნდა გაუძღვეს, ის პროფესიონალია და შედეგს მიაღწევს".

ლარსონის მემკვიდრედ მიჩნეულმა ოლბაკმა უკვე მეთექვსმეტე წუთზე ჭკვიანური პასით სტუმართა დაცვა გააუქმა. მან ანდრეს სვენსონს საგოლედ მიაწოდა და ანგარიშიც გაიხსნა.

ფინელი არბიტრის ზედმეტი სიმკაცრე რომ არა, ოტო რეჰაგელი ფრეზე იოცნებებდა. იუნი ჰიიტიამ შესვენებამდე ვერ მოითმინა და ორი ყვითელი ბარათით ტობიას ლინდეროტი მოედანს გაარიდა.

მეორე ტაიმში კაცნაკლულ შვედებს თავქუდმოგლეჯილ შეტევაზე პრეტენზია არ გამოუთქვამთ. თამაშს იგებდნენ, ბერძენთა შეტევებს კი იგერიებდნენ. უკაცობა მასპინძლებს მაინც დაეტყოთ. ორწუთიან მონაკვეთში წყვილი გოლი გაუშვეს. სტილინოს გინაკოპულოსმა და პანტელის კაფესმა შეცვლაზე შესული მაგნუს ჰედმანი „დაცხრილეს".

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ევრო–ამერიკა ხუთი გოლით



## დალესანდრომ არგენტინა გააცოცხლა

**არგენტინა 3:2 ურუგვაი**

0:1 ფორლანი (2), 1:1 ვერონი (45), 1:2 ლიგერა (57), 2:2 სამუელი (81), 3:2 დალესანდრო (85)

